

**შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემია მეცნიერებაში
განსაკუთრებული მიღწევებისათვის
კონკურსის წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი აწესებს პრემიას ახალგაზრდა მეცნიერებისათვის მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისთვის.
2. ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსის „სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრემია“ (შემდგომში - კონკურსი) მიზანია ახალგაზრდა მეცნიერთა წახალისება წარმატებული და გამორჩეული სამეცნიერო მოღვაწეობის, აკადემიური კომპეტენციების ფარგლებში დარგის განვითარების და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის;
3. კონკურსის მისიაა ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერების მისწრაფებას წარმატებული და განსაკუთრებული მიღწევებისკენ საქართველოში მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით; ასევე, მეცნიერების განვითარებისა და სრულყოფისათვის, საზოგადოების ფართო მასებსა და განსაკუთრებით ახალგაზრდებში, მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობა; სამეცნიერო დისციპლინების მიმართ ახალგაზრდებში ინტერესის გაზრდა; ახალგაზრდა მეცნიერთა მოტივაციის ამაღლება სამეცნიერო კარიერის მიმართულეებით.
4. კონკურსის ეფექტურობის გასაზრდელად, მეცნიერების პოპულარიზაციისა და ფართო საზოგადოების ინფორმირების გზით, ფონდი უზრუნველყოფს წარმატებულ ახალგაზრდა მეცნიერთა საქმიანობის გაშუქებას ფონდის ვებ გვერდის, სოციალური, ინტერნეტ და რადიო-ტელე მედიის საშუალებით, მათ ჩართულობას სამეცნიერო ფესტივალსა და სხვა მეცნიერების პოპულარიზაციის ღონისძიებებში, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მეცნიერების მოტივაციის ამაღლებას, მეტ ჩართულობას სამეცნიერო-საზოგადოებრივ აქტივობაში და მათი ცნობადობის გაზრდას, ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას მეცნიერების მნიშვნელობაზე და ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა მიღწევებზე.
5. რუსთაველის ფონდის პრემია მეცნიერებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის გაიცემა ერთჯერადად, ღია კონკურსის წესით.
6. კონკურსი ითვალისწინებს ერთჯერადი პრემიით ახალგაზრდა მეცნიერის დაჯილდოებას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1. **ფონდი** – საქარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
2. **გენერალური დირექტორი** – ფონდის გენერალური დირექტორი.
3. **საკონკურსო განაცხადი** - პრემიის მოპოვების მიზნით, ამ წესით განსაზღვრული პირობების მიხედვით ფონდში წარდგენილი საკონკურსო განაცხადი;
4. **ახალგაზრდა მეცნიერი** - საქართველოს მოქალაქე დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომლის აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან კონკურსის

გამოცხადებამდე, გასულია არაუმეტეს 7 წელი და ეწევა სამეცნიერო-კვლევით ან/და აკადემიურ საქმიანობას საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

5. **შეფასების კრიტერიუმები** – ფონდში წარდგენილი საკონკურსო განაცხადების შესაფასებლად საკონკურსო კომისიისთვის განსაზღვრული, ამ წესით დამტკიცებული სახელმძღვანელო პრინციპები სათანადო ქულების მითითებით;
6. **დამოუკიდებელი ექსპერტი** – პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში აფასებს კონკურსის ფარგლებში წარდგენილ საკონკურსო განაცხადებს;
7. **საკონკურსო კომისია** – კონკურსზე დარეგისტრირებული საკონკურსო განაცხადების შემფასებელი კოლეგიალური ორგანო, რომელიც განიხილავს და აფასებს კონკურსში შემოსულ საკონკურსო განაცხადებს, შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად;
8. **პრემია** – ახალგაზრდა მეცნიერის მიერ კონკურსის შედეგად მოპოვებული ანაზღაურება.
9. **მიზნობრივი ანგარიში** – ახალგაზრდა მეცნიერის მიერ წარმოდგენილი საბანკო ანგარიში.

მუხლი 3. კონკურსის პრემიის კატეგორიები

1. კონკურსში საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა შესაძლებელია სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორით განსაზღვრულ შემდეგ მიმართულებებში:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
2. ინჟინერია და ტექნოლოგიები
3. მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები
4. აგრარული მეცნიერებები
5. სოციალური მეცნიერებები
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები
7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები

2. რუსთაველის ფონდის პრემიის ოდენობა თითოეულ კატეგორიაში შეადგენს 6 250 ლარს.

3. თითოეულ კატეგორიაში გაიცემა მხოლოდ ერთი პრემია.

მუხლი 4. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და პირობები

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე ახალგაზრდა მეცნიერს, დოქტორს, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომლის აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან კონკურსის გამოცხადებამდე, გასულია არაუმეტეს 7 წელი და ეწევა სამეცნიერო-კვლევით ან/და აკადემიურ საქმიანობას საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
2. საკონკურსო განაცხადს წარადგენს თავად პრემიის კანდიდატი - ახალგაზრდა მეცნიერი.
3. კონკურსის პრემია ახალგაზრდა მეცნიერს მიენიჭება, კონკურსის გამოცხადებამდე ბოლო სამი წლის განმავლობაში, მეცნიერებაში მიღწეული განსაკუთრებული მიღწევებისათვის.
4. სასურველია კონკურსში მონაწილეობის მსურველ, ახალგაზრდა მეცნიერს მინიმუმ ერთი სამეცნიერო ნაშრომი ჰქონდეს გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული მაღალ რეიტინგულ გამოცემაში ან ჰქონდეს გამოქვეყნებული მონოგრაფია.
5. საკონკურსო დოკუმენტაციის რეგისტრაცია შესაძლებელია ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System] ელექტრონულად.

მუხლი 5. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირებას ახორციელებს ფონდი.
2. ფონდი უზრუნველყოფს:
 - ა) კონკურსის გამოცხადებას დადგენილი წესით;
 - ბ) კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას (ხელმისაწვდომია ფონდის ვებ-გვერდზე);
 - გ) საკონკურსო დოკუმენტაციის კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას (ტექნიკური ექსპერტიზა);
 - დ) საკონკურსო განაცხადების შეფასებას საკონკურსო კომისიის მიერ და გამარჯვებულების გამოვლენას;
 - ე) გამარჯვებული კანდიდატების დამტკიცებას გენერალური დირექტორის მიერ;
 - ვ) კონკურსის შედეგების საჯარო გამოცხადებას (ხელმისაწვდომია ფონდის ვებ-გვერდზე).

მუხლი 6. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. ახალგაზრდა მეცნიერი რეგისტრირდება ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System] და ქმნის „მეცნიერის პროფილს“;
2. კონკურსში რეგისტრაცია ხორციელდება შემდეგი სახით:
 - ა) ელექტრონული რეგისტრაცია – 2023 წლის 26 ივნისიდან 14 ივლისის 18:00 საათამდე;
 - ბ) ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია – 2023 წლის 18 ივლისის 18:00 საათამდე.
3. კონკურსში მონაწილეობისათვის ახალგაზრდა მეცნიერი, გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (შემდეგ ბმულზე: <http://gmus.rustaveli.org.ge>) ელექტრონულად არეგისტრირებს საკონკურსო განაცხადს, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან:
 - ა) კრებსითი ინფორმაცია (დანართი ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს);
 - ბ) განმცხადებლის სამოტივაციო წერილი, რომელშიც აღწერილია კვლევითი თემატიკის სამეცნიერო ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა; მეცნიერების პოპულარიზაციის კუთხით განხორციელებული აქტივობები; საზოგადოებრივი აქტივობები/მოხალისეობა, რომელიც ემსახურებოდა დარგის განვითარებას (დანართი, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);
 - გ) განმცხადებლის პროფესიული ბიოგრაფია CV გენერირდება გრანტების მართვის ერთიან სისტემიდან GMUS-იდან ქართულ ენაზე (დანართი, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);
 - დ) კონკურსის გამოცხადებამდე ბოლო სამი წლის განმავლობაში (2021, 2022, 2023 წლები) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები ინტერნეტ ბმულის მითითებით (დანართი, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);
 - ე) დამატებითი დოკუმენტაცია: სერტიფიკატი, ჯილდო, პრიზი, პატენტი და სხვა (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);
 - ვ) სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც იტვირთება „მეცნიერის პროფილში“
 - ზ) ცნობა სამეცნიერო ან აკადემიური საქმიანობის შესახებ 2023 წლის მდგომარეობით, რომელიც იტვირთება „მეცნიერის პროფილში“.
4. ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარმოდგენას ფონდის კანცელარიაში 2023 წლის 18 ივლისის 18:00 საათამდე (კონკურსის პირობების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად);

- კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, ახალგაზრდა მეცნიერმა უნდა წარმოადგინოს მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც ჩაირიცხება პრემიის თანხა.
- ვადის დარღვევის, ყალბი ან/და არასრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში პრემიაზე წარდგენილი საკონკურსო განაცხადი ფონდის მიერ საკონკურსოდ არ განიხილება და მოიხსნება.

მუხლი 7. პრემიების გადაცემის პროცედურა

გამარჯვებული კანდიდატისათვის პრემია გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით, მუხლი 3-ში მითითებული კატეგორიისა და ოდენობების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით არსებული ყველა შესაბამისი გადასახად(ებ)ის გათვალისწინებით.

მუხლი 8. ინტერესთა კონფლიქტი

- დაუშვებელია საკონკურსო კომისიის წევრი იყოს ამავე კონკურსის მონაწილე.
- არ შეიძლება საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასების და დამტკიცების პროცესში მონაწილეობდეს საკონკურსო კომისიის წევრი:
 - რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია პროექტის მონაწილეებთან ან მონაწილეობდა მათთან ერთსა და იმავე სამეცნიერო-კვლევით პროექტში ან მუშაობს ერთსა და იმავე სტრუქტურულ ერთეულში (ფაკულტეტი, ინსტიტუტი, დეპარტამენტი);
 - რომელმაც შესაძლოა მიიღოს უშუალო პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;
 - რომელსაც აქვს პროექტის თემატიკის ან კვლევის მეთოდის შესახებ საკონკურსო დოკუმენტაცია ავტორებისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიცია;
 - რომელიც თვითონ არის დაინტერესებული მხარე პროექტში; პროექტში მონაწილის ნათესავია; პროექტში მონაწილის წარმომადგენელია; შრომით ურთიერთობაშია პროექტში მონაწილესთან.
- ამ დებულების მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:
 - პირდაპირი ხაზის ნათესავი;
 - მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;
 - აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;
 - და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.
- საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.
- იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია საკონკურსო კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ფონდისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია იმსჯელოს შესაბამისი საკონკურსო კომისიის წევრის მიერ გაკეთებულ შეფასების გაუქმების შესახებ.

მუხლი 9. საკონკურსო განაცხადების შეფასება

- ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის საკონკურსო კომისიას და განსაზღვრავს მის მუშაობის წესს;
- საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს დამატებითი დამოუკიდებელი ექსპერტი;
- შეფასება ხორციელდება კომისიის მიერ ამ წესის მე-10 მუხლით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით.
- საკონკურსო კომისია განიხილავს და აფასებს კონკურსში შემოსულ საკონკურსო განაცხადებს,

5. შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად; პრემიების ნომინაციების მიხედვით, ადგენს რანჟირებულ სიებს და ავლენს კონკურსის ნომინაციებში გამარჯვებულებს;
6. გენერალური დირექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საკონკურსო კომისიის მიერ გამოვლენილ გამარჯვებულ საკონკურსო განაცხადებს.

მუხლი 10. საკონკურსო განაცხადების შეფასების კრიტერიუმები

საკონკურსო განაცხადები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	1	2	3	4	5	მინიმუმ 1 ქულა მაქსიმუმ 5 ქულა
<p>კვლევითი თემატიკის სამეცნიერო ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა</p> <p>სამეცნიერო ნაშრომები ბოლო 3 წლის განმავლობაში</p> <p>სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა</p> <p>საერთაშორისო და ეროვნულ სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა</p> <p>საერთაშორისო / ეროვნული ჯილდოები, პრიზები, სტიპენდიები, წევრობა და სხვა</p>						
2. აკადემიური კომპეტენციები	1	2	3	4	5	მინიმუმ 1 ქულა მაქსიმუმ 5 ქულა
<p>კურიკულუმების, ახალი სასწავლო კურსების მომზადება, საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა, რეცენზირება, სახელმძღვანელოების შედგენა და სხვა</p> <p>საერთაშორისო და ეროვნულ საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა</p>						
3. საზოგადოებრივი აქტივობები	1	2	3	4	5	მინიმუმ 1 ქულა მაქსიმუმ 5 ქულა
<p>მეცნიერების პოპულარიზაციის კუთხით განხორციელებული აქტივობები (საჯარო, სამეცნიერო-პოპულარული ლექციები; სამეცნიერო/შემეცნებითი სატელევიზიო და რადიო გადაცემებში მონაწილეობა), ინტერდისციპლინური თანამშრომლობა და სხვა</p> <p>საზოგადოებრივი აქტივობები/მოხალისეობა, რომელიც ემსახურება დარგის განვითარებას</p>						
შემაჯამებელი კომენტარი						

ა) კრიტერიუმებში ქულებით შეფასება განიმარტება შემდეგნაირად:

ბ) თითოეული კრიტერიუმი (1,2,3) ფასდება მინიმუმ 1, მაქსიმუმ 5 ქულით.

გ) სამივე კრიტერიუმისათვის მინიმალური შესაძლო შეფასებაა 3, მაქსიმალური -15 ქულა.

დ) თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ საკონკურსო განაცხადს, რომელიც ჯამურად მაღალ ქულას დააგროვებს თანმიმდებრულად პირველ, შემდეგ მეორე და მესამე კრიტერიუმებში.

ე) შემაჯამებელი შეფასება შესაბამისობაში უნდა იყოს კრიტერიუმების 5-ქულიანი (1-5) სისტემით შეფასებასთან და განიმარტება შემდეგნაირად:

შეფასება ქულით	შეფასება	განმარტება
1	სუსტი	საკონკურსო განაცხადი არაადეკვატურად პასუხობს მოცემულ ქვეკრიტერიუმს, გართულებულია შეფასება არასაკმარისი, ბუნდოვანი ან შეუსაბამო ინფორმაციის გამო.
2	დამაკმაყოფილებელი	საკონკურსო განაცხადი ზოგადად პასუხობს მოცემულ ქვეკრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი უზუსტობები და სუსტი მხარეები.
3	კარგი	საკონკურსო განაცხადი კარგად პასუხობს მოცემულ ქვეკრიტერიუმს, მაგრამ აქვს გარკვეული ხარვეზები და საჭიროებს გაუმჯობესებას.
4	ძალიან კარგი	საკონკურსო განაცხადი ძალიან კარგად, ზუსტად პასუხობს მოცემულ ქვეკრიტერიუმს. გამოკვეთილია ორიგინალურობა და სამეცნიერო პოტენციალი, თუმცა შესაძლებელია გარკვეულწილად დახვეწა.
5	საუკეთესო	საკონკურსო განაცხადი საუკეთესოდ პასუხობს მოცემულ ქვეკრიტერიუმს, შეიძლება არსებობდეს უმნიშვნელო ერთეული შენიშვნები, რომლებიც არ ეხება სამეცნიერო პოტენციალს.